ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____დეკემბერი_____2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (წიგნები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა“ და ვანისა და ბაღდათის ეპარქიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.ა“ და ,,დ.გ'' ქვეპუნქტების, 106[1] მუხლის მეექვსე, მერვე და მეთერთმეტე პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- დეკემბრის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 242742127) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212899443) ბალანსზე რიცხული, 3 017 (სამი ათას ჩვიდმეტი) ლარის და 17 თეთრის ღირებულების 1 384 (ათას სამას ოთხმოცდაოთხი) ერთეული, ხოლო ვანისა და ბაღდათის ეპარქიისათვის, 1046 (ათას ორმოცდაექვსი) ლარი და 34 თეთრის ღირებულების 420 (ოთხასოცი) ერთეული. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ წიგნების დეპოზიტარულ - გაცვლითი ფონდის განყოფილებაში არსებული ჭარბი, არაიშვიათი, ბიბლიოგრაფიული გამოცემების გადაცემის თაობაზე.

/სარგებლობის უფლებით გადასაცემი წიგნების ჩამონათვალი

საქმის მასალებთან ერთად განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 242742127) უზრუნველყოს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" ბალანსზე რიცხული, 3 017 (სამი ათას ჩვიდმეტი) ლარის და 17 თეთრის ღირებულების 1 384 (ათას სამას ოთხმოცდაოთხი) ერთეული წიგნების გადაცემა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის თემის წყოუშის ბიბლიოთეკისათვის (510 (ხუთასათი) ერთეული 1504 (ათას ხუთას ოთხი) ლარი და 53 თეთრის ღირებულების), წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბილიოთეკისათვის 372 (სამას სამოცდათორმეტი) ერთეული 644 (ექვსას ორმოცდაოთხი) ლარის და 95 თეთრის ღირებულების და ქ. ჯვარის საბავშვო ბიბლიოთეკისათვის - 867 (რვაას სამოცდაშვიდი) ლარის და 69 თეთრის ღირებულების 502 (ხუთას ორი) ერთეული წიგნის გადაცემა მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის.

მუხლი 3. ვანისა და ბაღდათის ეპარქიამ უზრუნველყოს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის" ბალანსზე რიცხული, 1046 (ათას ორმოცდაექვსი) ლარის და 34 თეთრის ღირებულების 420 (ოთხასოცი) ერთეული წიგნის ვანის საკათედრო ტაძრის საკვირაო სკოლასთან არსებული სამრევლო ბიბლიოთეკისათვის გადაცემა, მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (წიგნები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა“ და ვანისა და ბაღდათის ეპარქიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და მათი განხორციელების ძირითად ასპექტებს, ასევე განსაზღვრავს ქონებრივი საკითხების რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს.

2024 წლის 24 ივნისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს წერილობით მომართა ა(ა)იპ ,,ქალაქ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელმა, წარმოადგინა დასკვნები, აქტები, დაინტერესებულ სუბიექტთა მომართვები და ითხოვა, ბიბლიოთეკის დეპოზიტარულ-გაცვლითი ფონდის განყოფილებაში დაგროვილია ჭარბი, არაიშვიათი, ბიბლიოგრაფიული გამოცემების (4 063 (ოთხი ათას სამოცდასამი) ლარი და 51 თეთრის ღირებულების 1 804 (ათას რვაას ოთხი) ერთეული წიგნი) გადაცემა შესაბამისი საჭიროების მქონე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებების ბიბლიოთეკებისა და ვანისა და ეპარქიის ვანის საკათედრო ტაძრის საკვირაო სკოლასთან არსებული სამრევლო ბიბლიოთეკისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (წიგნები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა“ და ვანისა და ბაღდათის ეპარქიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი